



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 62

2017 წლის 02 ივლისი

ქ. თბილისი

2016 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში
გამოცხდებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების
დამტკიცების შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის (N587722; 02.06.2017) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხდებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამარჯვებულმა წამყვანმა და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2017 წლის 8 ივნისის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის წინაშე;
 - ბ) პროექტის დაზუსტებული ბიუჯეტი.

3. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი N1-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2017 წლის 16 ივნისისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ხიშტოვანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

